



# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს პენსიონატის გაზეთი

№3 (10.108)

17-24 თებერვალი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## კომუნისტური რევოლუცია და საქართველოს ოკუპაცია

1921 წლის 25 თებერვლიდან 103 წელი გავიდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბნელ თაჩინს - საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის წესის აღნიშვნა. ამ წესს თავისი მიხედვით ახადს - საბჭოთა სახელმწიფოს 20-21 წლის სტრუქტურა, იურიდიული, ხომალტური, შაქტობრივი, მაქრო სტრუქტურა თბილისის ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს სახელმწიფო სისტემაში კომუნისტური რევოლუცია და სტალინური რევოლუცია იწოდება. 19 თებერვლიდან, ასევე სტალინური რევოლუცია 19 წლის მთელი, მაქრო სტრუქტურის, ურთიერთობის ახადს. დღევანდელი კომუნისტური რევოლუცია საქართველოს სახელმწიფოს და მოსახლეობის წინააღმდეგობის სტრუქტურა. ახლანდელი 2010 წლის წინააღმდეგობის თანახმად, საბჭოთა ოკუპაციის წესი საქართველოში სხვადასხვადასა და წინააღმდეგობის აღნიშვნა.

რა შეცვალა თებერვლის ამ სისხლიანმა დღეებმა 103 წლის წინ საქართველოსთვის? - ესაა ყველაზე აქტუალური კითხვა, რომელიც ამ მოვლენის ანალიზისას ისმის. ექსპერტების აზრით, ეს იყო რადიკალური გადახვევა ევროპული გზიდან - გზიდან, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობას ჰქონდა არჩეული:

„ეს გზა ნიშნავდა, რომ ვფიქრობდით. ცხადია, ჯერ იქ არ ვიყავით მისულები, რასაც ვესწავოდით, მაგრამ გზა გვექონდა არჩეული. სწორედ ეს გზა შეწყდა. ეს იყო ძალიან სამწუხარო, რადგან ზოგადად ქვეყნისთვის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტისათვის, დამოუკიდებლობის დაკარგვა ყველაზე კატასტროფული რამაა, რაც ქვეყანას შეიძლება დაემართოს. სწორედ ამიტომ, ეს დღე ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული დღეა საქართველოს ისტორიაში“ - ამბობს ფილოსოფოსი ლევან ლამბაძე.

1921 წლის 25 თებერვალი ქვეყნის და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების იმედების, მომავლის, ბედნიერი ხედვის დასასრულად იქცა, რასაც შემდეგ სამოცდაათწლიანი მონობის პერიოდი და ქართველი ერის გარუსების არაერთი მცდელობა მოჰყვა. მისი ლოგიკური გაგრძელება იყო 1937 წლის რეპრესიები, „ხალხის მტრების“ მასობრივი დახვრეტა, გადასახლება, გაკულაკება, ცნობილი მწერლებისა თუ მეცნიერების ნიგნების აკრძალვა, ეკლესიების წგრევა და ნაბიღნვა...

მანამდე კი იყო ქართველი იუნკრების თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებლობის დასაცავად. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისი მე-11 ნითელმა არმიამ დაიკავა. ხუთკვირიანი ბრძოლისა და გამარჯვებული თავგანწირვის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა, ვერ შეძლეს დამოუ-

კიდებლობის დაცვა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დედაქალაქი 25 თებერვალს, გათენებამდე დატოვეს. რამდენიმე საათში თბილისი მე-11 ნითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს. როგორც ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, ნითლების შემოსვლას ქალაქი შეხვდა ცივად, ინერტულად.

„უმეტესი ნაწილი მოქალაქეებისა დარჩა ქალაქში, არადა დიდი იყო შიში და მოლოდინი იმისა, რომ მე-11 არმია დაიწყებდა ქალაქის დარბევას და ძალადობას. ჩვეულებრივი ამბავი იყო ეს, მოგეხსენებათ, რა რეპუტაცია ჰქონდა ნითელ არმიას, რომელიც ომის კანონით ბრძოლით დაკავებულ ქალაქში აკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა. ქუჩები, როგორც წესი, უკაცრიელი იყო“, - ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

თბილისელთა პირქუშმა დახვედრამ ხასიათი ვერ გაუფუჭა ქართველი ბოლშევიკების ჯგუფს. 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძე რუსეთში გზავნის ელვა-ტელეგრამას:

„მოსკოვი, კრემლი. ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე ნითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

თუმცა, ტელეგრამის მთავარი ადრესატები არ შეიმჩნევენ სიხარულს. 27 თებერვალს მოსკოვის საბჭოს პლენარულ სხდომაზე ლენინი იტყვის, შეუმომბელი ინფორმაციით ტფილისში საბჭოთა მმართველობა დამყარდა და რუსეთი ფსონს საქართველოს პროლეტარიატზე დებს.

ამასთან დაკავშირებით მიხეილ ჯავახიშვილი წერდა:

„25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ, დღითიღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ახლა სატყვერის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამეხოხება და ისე გამათავებს, გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ.“

25 თებერვალს ყველას კოლაუ ნადირაძე და მისი უკვდავი ლექსი — „25 თებერვალი“ გვახსენდება. ეს ლექსი ალბათ ყველაზე ნათლად ასახავს 1921 წელს ჩვენი ქვეყნის თავზე დატრიალებულ სამინელო ტრაგედიას, რასაც ერთი სიტყვით - „გასაბჭოებას“ ეძახდნენ, თუმცა ამ დღის ტრაგიაში და მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე ამას ეს ერთი სიტყვა იტყვის. „თბილისის დამშვიდებით ეძინა, მას ჯერ არ გაეგო თავისი სიკვდილი...“ - ასე აღწერს 18 წლის მოხალისე ჯარისკაცი გივი ლამბაძე 1921 წლის 25 თებერვლის პირველ წუთებს, როცა ეს-ეს არის შეიტყო სარდლობის გადაწვეტილება, თბილისის დატოვების შესახებ. არადა, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, 25 თებერვლის

დადგომამდე, თანამებრძოლებთან ერთად სულგანაბული ელოდა სამშობლოსათვის თავგანწირვის დიად მომენტს, როცა სანგარში ჩამჯდარს თითები სველი ჩახმახზე ეყინებოდა და თოვლის ფიფქები თვალეში უვარდებოდა. თავდაპირველად ოფიცრის ბრძანება, ამოსულიყვნენ სანგარებიდან, შეტევაზე გადასვლის წინაპირობად მიიჩნია, თუმცა მალევე, სოლანლულის ხიდის აფეთქების შემდეგ, მიხვდა, რაშიც იყო საქმე: „ამ წამიდან როგორც ჩვენი სამშობლო, საქართველო, ისე ქართველი ერი სამუდამოდ დაიღუპა, ჩარბი უკულმა გადატრიალდა, საქართველოს შვიდივე ვარსკვლავი ჩაქრა, თეთრი მერანი უფსკრულში გადავარდა“.

### 25 თებერვალი

თოვდა და თბილისს ებურა თალსი, დუქდა სიონი და დუქდა ხალსი. მიღ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი, საშინელებას კვლავ სჭედდა გრემლი - ისე გოლგოთა, სისხლი და ცრემლი! მშობლო დედა, ისე გაგვიდეს, ისე წამების ჯვარი აგვიდეს, არ ძეგებრალეს, კვლავ არ დაგინდეს! თოვდა და თბილისს ებურა თალსი. დუქდა სიონი და დუქდა ხალსი. დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა, მხოლოდდა თოვლი ცვიოდა ნელა, ეფინებოდა გმირების გვამებს - განგძირულ მკერდებს, დაღუწილ მკლავებს, და უძრავ იყო თებერვლის დამე. თოვდა და თბილისს ებურა თალსი, დუქდა სიონი და დუქდა ხალსი. იმ გზით, საღ წინათ ელაგდნენ ხმლები, საღ სამას გმირთა დაიფშნა ძვლები, საღ ქართლის დედის ცრემლით ნანამი, მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი, საღ გმირთა სისხლით ნანახიერი, თოვლს დაუფარა კრწანისის ველი, - წითელი დროშით, მოღერულ ველით, თეთრ ცხენზე მჯდომი, საბიჯით ხელით შემოდირა სიკვდილი ცვლით! თოვდა და თბილისს ებურა თალსი, დუქდა სიონი და დუქდა ხალსი! საქართველოს ტერიტორიების 20% კვლავ ოკუპირებულია. დღევანდელი დღე კიდევ ერთი ისტორიული დასტურია იმისა, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამადლება საქართველოსათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს.

მომზადდა  
ინგა შიოლაშვილმა



### „ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს არცერთი უკანონო გადაწყვეტილება არ მიმიღია“

„განკარგულებების გამოქვეყნებაზე ასეთი პრაქტიკა დამხვდა მთავრობაში. დიდი დრო არ დამიხარჯავს ამ პრაქტიკის შეცვლაზე - ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს, მე არცერთი უკანონო გადაწყვეტილება არ მიმიღია“, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, მთავრობის განკარგულებების გამოქვეყნების საერთაშორისოდ დადგენილი წესი და სტანდარტი არ არსებობს.

„ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს, მე არცერთი უკანონო გადაწყვეტილება არ მიმიღია. ყველა გადაწყვეტილება იყო კანონის შესაბამისობაში სრულად. არცერთი გადაწყვეტილება არ მიმიღია, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს შეეწინააღმდეგებოდა. ჩემი პრემიერო-

ბის დროს საქართველო ბიუჯეტის გამჭვირვალობის კუთხით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. ასევე მთავრობის ეფექტიანობის კუთხით, მთავრობის კეთილსინდისიერების კუთხით, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, ყველა მიმართულებით ჩემი მთავრობა ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს იყო მონინავე პოზიციებზე. რაც შეეხება განკარგულებების გამოქვეყნებას, ასეთი პრაქტიკა დამხვდა მთავრობაში. დიდი დრო არ დამიხარჯავს ამ პრაქტიკის შეცვლაზე. არ არის საერთაშორისოდ დადგენილი წესი და სტანდარტი, გინდა თუ არა ყველა განკარგულება უნდა გამოქვეყნდეს. ჩვენ დავამუშავეთ ბევრი ქვეყნის მაგალითი. აიღეთ აშშ, ევროპის სახელმწიფოები, გგონიათ, რომ ყველაფერი გამჭვირვალეა?“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### შალვა პაპუაშვილი - თუ ვინმესთან არის დასაცავი ჩვენი ხმები, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი „ენჯეოები“

არ დაუშვებთ, 2020 წელი გაიმეორონ „ენჯეოებმა“ და ყალბი დასკვნებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნა, ამომრჩევლის ხმები დასაცავია „ნაციონალურებისა“ და მისი სატელიტი „ენჯეოებისა“.

„2020 წელს ჩვენ რაც ვნახეთ, ერთადერთი, ვისგანაც დასაცავია ქართველი ამომრჩევლის ხმები, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, მისი სატელიტი „ენჯეოები“. სხვათა შორის, პირდაპირ ეუთო-ს დასკვნაში აისახა, რომ სახეზე იყო პარტიული „ენჯეოების“ აქტიუობა საარჩევნო უბნებზეც, მათ შორის წინასაარჩევნო გარემოში გვახსოვს მაშინ „ისფედის“ მიერ გაყალბებული „პივიტი“ და შემდეგ რამდენიმე „ენჯეოს“ განცხადება, რომელიც გახდა საფუძველი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ბოიკოტის. მათ შორის, გახსოვთ, ძალადობრივი შტურმი იყო ცესკო-ზე 2020 წელს. ასე რომ, თუ ვინმესთან არის დასაცავი ჩვენი ხმები, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, მისი სატელიტი „ენჯეოები“. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვაკვირდებით იმასაც, ვინ იქნებიან ე.წ. ადგილობრივი დამკვირვებლები, რომლებიც არიან ხოლმე აქტიურები, რადგან მათ საზოგადოებაში დეკარგული აქვთ ნდობა მას შემდეგ, რაც 2020 წელს იყვნენ თანამონაწილეები დეზინფორმაციული კამპანიისა, არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით“. „სოროსის ფონდის“ ხელმძღვანელმა შარშან შემოდგომაზე მაკეინის ფონდის მიერ დაფინანსებულ

კონფერენციებზე, პირდაპირ პანელზე განაცხადა, რომ მათი მიზანია ხელისუფლების შეცვლა. ამ პანელში ის და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ხელმძღვანელი იღებდნენ მონაწილეობას,“ - განაცხადა პაპუაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნულ „ენჯეოებს“ აქვთ პირდაპირ გაცხადებული საარჩევნო მიზანი, რომ მათ სურთ ხელისუფლების შეცვლა.

„გარდა ამისა, გვახსოვს ჩვენ 2022 წლის ივნისის აქცია, როდესაც სწორედ ეს „ენჯეოები“, ვგულისხმობ „ისფედს“, „გამჭვირვალობას“, „სოროსის ფონდს“ და ა.შ. ცდილობდნენ მაშინ, არადემოკრატიული გზით დაემხობთ ხელისუფლება და თავად ყოფილიყვნენ მონაწილეები მთავრობის დაკომპლექტებაში. გახსოვთ, ისინი ითხოვდნენ, „ისფედს“, „გამჭვირვალობას“, „სოროსის ფონდს“ ჰქონოდა ვეტოს უფლება მთავრობის დაკომპლექტებაში. ანუ, ხალხის მიერ არალეგიტიმურ ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან, ჰქონოდათ ვეტო ხელისუფლების დაკომპლექტებაში. ამიტომ, რა თქმა უნდა, ვაკვირდებით, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები ვინ იქნებიან და მათ საქმიანობას. ასევე, მათი დაფინანსების გამჭვირვალობას, რადგან ყველაზე დიდი გამოწვევა დღეს ენჯეოს სექტორში არის, რადგან გაუმჭვირვალეა დაფინანსება. მნიშვნელოვანია, საზოგადოება აქ იყოს ფხიზლად, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ 2020 წელი გაიმეორონ „ენჯეოებმა“ და ყალბი დასკვნებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

### გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას, სავარაუდოდ, კვლავ წარადგენს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, დიდი ალბათობით, ის ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას კვლავ წარადგენს.

როგორც კალანდარიშვილმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის, რადგან ელოდება, თუ რა სახეს მიიღებს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ცესკო-ს თავმჯდომარისა და ე.წ. პროფესიული წევრების არჩევის წესი იცვლება.

„საკანონმდებლო მონესრიგება როგორც არ უნდა იყოს, მისი შეფასება პოლიტიკოსების და სხვადასხვა ჩართული მხარის საგანია. ჩვენი ადმინისტრაცია მხოლოდ და მხოლოდ მის აღსრულებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. ველოდები მოვლენების განვითარებას, თუ რა სახეს მიიღებს საკანონმდებლო ცვლილებები მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება, გამოქვეყნდება და მის საფუძველზე კონკურსი გამოცხადდება, თუმცა ერთი რამ შეიძლება აუცილებლად ითქვას - ჩვენ ვხედავთ, რომ საარჩევნო ინსტიტუცია დიდი გამოწვევების წინაშეა, წინ 26 ოქტომბრის არჩევნებია, სადაც ფარდობისაშტაბიანი ტექნოლოგიური ინტერვენცია იქნება პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“, - განაცხადა კალანდარიშვილმა.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე განმარტავს, მისი მიზანია, ცესკო-ს მიერ დაწყებული სამუშაოები ბოლომდე მივიდეს და მოხარული იქნება, თუ ამის შესაძლებლობა ექნება.

კითხვაზე, არის თუ არა ის ისეთი ფიგურა, რომელიც 2024 წლის არჩევნების სამართლიან და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარებას შეძლებს, კალანდარიშვილმა უპასუხა, რომ ამას მისი თავმჯდომარეობით ჩატარებული არჩევნების შედეგები ადასტურებს.

„სპეკულაციურია ის საკითხი, თითქოს მხოლოდ მმართველი პარტიის ხმებით მოხდა

ჩემი არჩევა. შეგახსენებთ მრავალპარტიული მხარდაჭერა ჰქონდა ჩემს კანდიდატურას მეორე არჩევნისას და როგორც მმართველი პარტია, ასევე სხვა პოლიტიკური ჯგუფები და გაერთიანებები იღებდნენ მონაწილეობას ჩემს არჩევაში. რაც შეეხება იმას, რამდენად ეფექტიანი იქნება ჩემი არჩევა, ალბათ, სჯობს შევფასოთ ჩემი მმართველობის პერიოდში ჩატარებული არჩევნები. უნდა აღინიშნოს ის, რომ რამდენიმე არჩევნების ჩატარების შესახებ მომხმარებელი მონაწილეობას საერთო მუნიციპალური არჩევნების, სადაც ერთ-ერთი დადებითად აფასებს საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციონირებას და არჩევნების ადმინისტრირებას, განსაკუთრებით გაზრდილი გამჭვირვალობის პირობებში. დღეს ინსტიტუციის მიერ განხორციელებული საქმიანობის მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. ჩვენ ყოველ ჯერზე რამდენი ასეთი თვალსაზრისი მომხსრენი ვხდებით, იქვე იწყება რიგი მადისკრედიტებელი კამპანიები ზუსტად იმისთვის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი ეს პოზიტიური რეპუტაცია და გამჭვირვალე საქმიანობა დაზიანდეს, რათა გარკვეულწილად კვლავ მოხდეს ინსტიტუციის მიმართ ნდობის შელახვა და მისი შემცირება“, - განაცხადა კალანდარიშვილმა.

ცნობისთვის, მმართველი უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივის გათვალისწინებით, ცესკოს თავმჯდომარისა და ე.წ. პროფესიული წევრების არჩევის წესი და ქვორუმი კიდევ ერთხელ იცვლება - მათი არჩევის პროცესში მხათა 3/5-იანი ქვორუმი შემოიღეს.

კანონპროექტი ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის 3-ეტაპიან პროცესს ითვალისწინებს. პროექტით, პირველ კენჭისყრაზე 90 ხმა იქნება საჭირო. იმ შემთხვევაში, თუკი 90 ხმა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, არჩევა 76 ხმით მოხდება.

კონკრეტული კანდიდატებისთვის 76 ხმით მხარდაჭერის მიღება ორჯერ იქნება შესაძლებელი და 76 ხმით არჩეული კანდიდატები უფლებამოსილების განხორციელებას 5 წლის ვადით დაინებენ.

### თბილისში ნარჩენების გადამამუშავებელი პირველი ქარხანა აშენდება

თბილისში, დიდი ლილოს პოლიგონზე, ნარჩენების გადამამუშავებელი პირველი ქარხანა აშენდება, - ამის შესახებ „ბიზნეს-პრესნოუსს“ თბილისურისში განუცხადეს.

როგორც თბილისურისში განგვიმარტეს, აღნიშნულ ტერიტორიაზე მასალების აღმდგენი ობიექტისა და მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების საწარმოს მშენებლობა იგეგმება.

„მთელი ქალაქის მასშტაბით ნარჩენების სეპარაციის დაწყებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი ქარხნის მშენებლობა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, დიდი ლილოს პოლიგონზე იგეგმება მასალების აღმდგენი ობიექტისა და მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების საწარმოს მშენებლობა. ამ პროექტით თბილისში ე.წ. ნარჩენების გადამამუშავებელი პირველი ქარხანა აშენდება. ეს იქნება მთელი ქალაქის მასშტაბით ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებისა და

გადამუშავების დაწყების საფუძველი, რის შემდეგაც მასალის რეალიზება მოხდება“, - გვითხრეს თბილისურისში.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით EBRD-თან სასესიო შეთანხმებას თებერვალში მოეწერება ხელი.

„პარალელურად, მიმდინარეობს საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის შერჩევა, რათა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა. მშენებლობის დაწყების პერიოდი ამ ეტაპზე დაზუსტებული არ არის, თუმცა მაქსიმალურად დაჩქარებულია მოსამზადებელი პროცესი“, - განაცხადეს თბილისურისში.

ცნობისათვის, თბილისში რამდენიმე უბანზე განთავსებულია 4-განყოფილებიანი სეპარირებული ურნები, საიდანაც ნაგავი კვლავ საერთო ნაგავსაყრელზე იყრება.

### ღიალიზის ცენტრი დედოფლისწყაროში

საგარეჯოსა და ყვარელში ღიალიზის სერვისცენტრი გაიხსნა. უახლოეს მომავალში კი, აღნიშნული სამედიცინო მომსახურება დედოფლისწყაროში, ცაგერში, წნორსა და კასპში ამოქმედდება. ყვარელში, ევექსის ქსელში, ღიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, ყოველდღიურად ისარგებლონ აღნიშნული მომსახურებით. საგარეჯოში კი ჰეპატიტიზის ცენტრი „ჯეო ჰოსპიტალის“ მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ბაზაზე გაიხსნა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცვლილებების შედეგად, მომსახურებაზე კიდევ უფრო გაიზარდა გეოგრაფიული დაფარვა და ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, ბენეფიციარები,

სერვისს, მათსავე ქალაქში, საცხოვრებელთან ახლოს მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ბენეფიციარებს, პროცედურის ჩასატარებლად, კვირაში რამდენჯერმე, კილომეტრების დამორებით, სხვადასხვა ქალაქში უნებდათ გადაადგილება, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დღეს, ქვეყნის 49 მუნიციპალურ ერთეულში, ღიალიზის ცენტრები, ყოველდღიურად, 2600 პაციენტს ემსახურება.

ჯანდაცვის ახლადამტკიცებულია მინისტრმა პარლამენტში გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მათი პრიორიტეტია გეოგრაფიულად ყველა

ნერტილში ხელმისაწვდომი იყოს ღიალიზის პროგრამა.

„კიდევ უფრო გაიზრდება გეოგრაფიული დაფარვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბენეფიციარებს პროცედურის ჩასატარებლად კვირაში რამდენჯერმე კილომეტრების დამორებით, სხვადასხვა ქალაქში უნებდათ გადაადგილება“, - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

პრიორიტეტული რჩება იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების საჭიროებების დაფარვა, ღიალიზის, ტრანსპლანტაციის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, - ამის შესახებ ზურაბ აზარაშვილმა პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

### სტატისტიკა

დედოფლისწყარო	2020	2021	2022	2023
დაბადება	265	243	233	229
გარდაცვალება	366	458	391	295
<b>ქორწინება</b>				
კაცი	44	66	70	59
ორივე აქ რეგისტრირებული	43	44	35	32
ქალი	43	70	73	53
<b>ჯამი</b>	<b>130</b>	<b>180</b>	<b>178</b>	<b>144</b>
<b>განქორწინება</b>				
კაცი	21	27	24	28
ორივე აქ რეგისტრირებული	15	25	30	27
ქალი	12	16	27	28
<b>ჯამი</b>	<b>48</b>	<b>68</b>	<b>81</b>	<b>83</b>

# დეკანოზი გიორგი მამალაძე გათავისუფლდა

„ბრძოლა არ დასრულდა“, „ბრძოლა გრძელდება“, „ყველაფერი იმ-გადა, დასაბუთებულია“ - 7-წლიანი პატიმრობიდან გათავისუფლებული დეკანოზი, გიორგი მამალაძე და მისი ქმა „ცინილის საამისთან“ დაკავშირებული უცნობი დეტალების გამო-ზიარებას აპირებენ.

მამალაძის ადვოკატმა რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, რომ საიდუმლო წესით განხილულ საქმეში თუ საქმის მიღმა, არსებობს ბევრი დეტალი, რომელთა შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის.

„იმკურნალებს, გამოჯანმრთელდება, ფეხზე დადგება და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი. უდანაშაულოა და ამას სულ ვამბობდით.. ბრძოლა არ გავეჩივრებია, ბრძოლა გრძელდება“, - გიორგი მამალაძის ძმამ, თორნიკე მამალაძემ რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ამ ეტაპზე სხვა სახის ბრძოლის შესაძლებლობას არ იძლევა და ის, უახლოეს პერიოდში, საჯაროდ გამოჩენას ვერ შეძლებს.

„პოზიცია არაფერზე შებენი“, - ამბობს თორნიკე მამალაძე.

7 წლის განმავლობაში, ვიდრე დეკანოზი მამალაძე ციხეში იყო, მისმა ძმამ არაერთი საპროტესტო აქცია გამართა. ის ღიად ადანაშაულებდა საპატრიარქოს, თავად პატრიარქსაც და პერიოდულად - სკანდალური მასალების გამოქვეყნებით-

თაც იმუქრებოდა.

ლაპარაკი იყო არა მხოლოდ საფინანსო და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებზე, არამედ „პედოფილიაზე, მათმავლობასა და ინცესტზე“. თორნიკე მამალაძე ამბობდა, რომ - მისი ძმის ციხეში დატოვება ხელისუფლებისა და საპატრიარქოს შეთანხმებით ჭიანჭურდებოდა და მთავარ მიზანს - სიმართლის დამალვა წარმოადგენდა. ამას კატეგორიულად უარყოფდა საპატრიარქო.

დეკანოზი გიორგი მამალაძე ციხეში შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მცდელობისთვის იჯდა. თუმცა, 2017 წელს, როცა დეკანოზი მამალაძე დააკავეს, პროკურატურა ამბობდა, რომ ის მაღალი იერარქის მკვლელობას გეგმავდა. არსებობდა აზრი, რომ პირი, ვის ციხიდან მოწამულსაც დეკანოზი მამალაძე გეგმავდა, პატრიარქი იყო. თუმცა, პროკურატურამ რამდენიმე დღეში გამართულ ბრიფინგზე თქვა, რომ გიორგი მამალაძეს შორენა თეთრუაშვილის მკვლელობა ჰქონდა დაგეგმილი. პროკურორის თქმით, მამალაძემ დაკითხვისას თქვა, რომ შორენა თეთრუაშვილის სიკვდილი გაუხარდებოდა.

დეკანოზი მამალაძე 2017 წლის 10 თებერვალს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. თავად დეკანოზი ამბობს, რომ მას ციხიდან შექენა შორენა თეთრუაშვილმა დაავალა, თუმცა, მომწამლავი ნივთიერება არ შეუქენია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავედ 2017 წლის 5 სექტემბერს ცნო და 9



წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოსამართლე ბესიკ ბუგინიშვილმა მას ბრალდება - ანგარებით მკვლელობის მომზადება გადაუკვალიფიცირა და დამნაშავედ განზრახ მკვლელობის მომზადებაში ცნო. ამასთან, დამამძიმებელი გარემოება მოუხსნა. ბესიკ ბუგინიშვილმა მამალაძის დანაშაულის მოტივად ანგარების ნაცვლად, შურისძიება დაასახელა.

2018 წლის 13 თებერვალს კი, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძის გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა. უხუნესმა სასამართლომ საქმე წარმოებაში არ მიი-

ლო. 5 წლის წინ დეკანოზი გიორგი მამალაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა, დავით ჯანდიერმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი გაგზავნა. 2021 წლის 16 ივნისს ცნობილი გახდა, რომ სტრასბურგის სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძის საქმე წარმოებაში მიიღო.

„მომჩივანთან დაკავშირებული ფაქტები უკავშირდება კონვენციის მე-9 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) სავარაუდო დარღვევას“ - ნერდა იურისტი დავით ჯანდიერი.

## რომელ ობიექტებში ხვდება მსენარეული სხივისგან დამზადებული „რძის პროდუქტები“, რომლის ჯანმრთელობისთვის საშიშია

პროდუქტებში მცენარეული ცხიმის დასაშვებ ნორმაზე მაღალი შემცველობა, ჯანმრთელობისთვის საშიშია. ენ ტრანსცხიმების გამოყენება გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების გამომწვევიც კი შეიძლება გახდეს.

საქართველოში არის საწარმოები, რომელიც მცენარეულ ცხიმებს, იგივე რძის ფხვნილებს ლეგალურად და დასაშვები პროცენტული მაჩვენებლით იყენებენ, თუმცა როგორც „მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელმა, რუსუდან გიგაშვილმა „პალიტრანიუსისა“ და რადიო „პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა, არსებობს უკონტროლო ბაზარიც, საიდანაც შემდეგ მცენარეული ცხიმით დამზადებული პროდუქტები, სხვადასხვა კვების ობიექტებში, მათ შორის, მაღალი კლასის რესტორნებში ხვდება.

„საწარმოები არის, რომელიც კარგად თუხთუხებს და კვამლი ამოდის, მზადდება ფხვნილი (რძის) და ნაჯერი ცხიმი. სტატისტიკაც რომ ამოიღოთ, მზარდია ფხ-

ვნილის იმპორტი საქართველოში. არის მსხვილი საწარმოები, რომლებიც ლეგალურად გამოიყენებენ ფხვნილს და მას არ არქმევენ რძის პროდუქტს, ის გამოიყენება, მაგალითად, იოგურტებში და ა.შ. ასევე, ყველს რომ ჰგავს, მაგრამ მას ყველს არ არქმევენ, სხვადასხვა სახელები აქვს, სახაჭაპურე და ა.შ. ამ შემთხვევაში, ლეგალურად რაც გამოიყენება, ამის ამოღება შეიძლება სტატისტიკიდან, ლეგალური საწარმოები რა რაოდენობის რძის ფხვნილს მოიხმარენ. მაგრამ იმის მიღმა რაც რჩება, ეს არის სწორედ ის უკონტროლო ბაზარი, საიდანაც შედის სწრაფი კვების ობიექტებში, რომელსაც ჩვენ და ჩვენი შვილები შეიძლება ხშირად მივმართავდეთ, ასევე, საკმაოდ მაღალი კლასის რესტორნებში თუ სარესტორნე ქსელებში, ენ სახაჭაპურეებში და ა.შ. ჩვენ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ეს ჯანმრთელობისთვის უვნებელია, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, რა რაოდენობის მცენარეული ცხიმი იქ გამოიყენებული. ჩვენ გვაქვს სტანდარტი, სადაც შემცველობაზე არის

საუბარი, რა პროცენტი უნდა იყოს დაშვებული ყველში მცენარეული ცხიმის თანაფარდობა. სადაც ვსაუბრობთ, რომ არის საწარმოები, რომლებიც არალეგალურად აკეთებენ ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, არის ძალიან დიდი ეჭვი, რომ იქ შესაძლოა, არ იყოს დაცული ეს სტანდარტები, რა რაოდენობის ტრანსცხიმი გამოიყენებული, არ ვიცით. ტრანსცხიმის გამოყენება კი იწვევს ძალიან დიდ და მძიმე დაავადებებს, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებებს. ერთადერთი, რაც ჩვენ მოხმარებდეს შეგვიძლია, რომ ვუთხრათ, აუცილებლად იყიდონ ეტიკეტირებული პროდუქტი, რომელსაც აწერია - ყველი. მიუხედავად წლების განმავლობაში ბევრი საუბრისა, ბევრმა დღემდე არ იცის, რომ მრგვალი და თეთრი რომ არის, შეიძლება ყველი არ იყოს. მარკეტინგულად შეფუთული, რაც არ უნდა ლამაზად ეწეროს, მხოლოდ სიტყვა ყველი უნდა ეწეროს აუცილებლად“, - განაცხადა რუსუდან გიგაშვილმა.

## საქართველომ ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატად აკა მორჩილაძე წარადგინა

საქართველომ ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატად აკა მორჩილაძე წარადგინა. ამის შესახებ ინფორმაცია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გაავრცელა.

„სიხარულით გაცნობებთ, რომ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორთა მიერ, ხმათა უმრავლესობით, შევდეთის ნობელის კო-

მიტეტში, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატად წარდგინდა ქართველი მწერალი, აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი). ვულოცავთ და წარმატებას ვუსურვებთ.“ - ნერს ლიტერატურის ინსტიტუტი.

ლიტერატურის დარგში 2024 წლის ნობელის პრემიის გამარჯვებულს ოქტომბერში დაასახელებენ, 10 დეკემბერს კი დააჯილდოვებენ.



## საჯარო სკოლებში დირექტორების შესარჩევი კონკურსი ცხადდება

განათლების სამინისტროს საჯარო სკოლებში დირექტორების შესარჩევ კონკურსს აცხადებს. უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, კანდიდატების რეგისტრაცია 19 თებერვალს დაიწყება და 29 თებერვალს დასრულდება.

კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია:

- უმაღლესი განათლება;
- არანაკლებ 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება (მათ შორის სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება).

სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ კანდიდატების შერჩევა მოხდეს მხოლოდ ერთი ტესტირებითა და ერთი გასაუბრებით და დამატებით სერტიფიცირება (ტესტირება, გასაუბრება) საჭირო აღარ არის. ამ დრომდე არსებული პრაქტიკით კანდიდატი შეირჩეოდა სერტიფიცირების

შემდეგ ჩატარებული გასაუბრებით.

კანდიდატის რეგისტრაციისთვის საჭიროა:

- პირადობის ან პასპორტის ასლი;
- ფოტოსურათი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობა;
- სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
- ცნობა ნასამართლობაზე.

დღევანდელი მოცემული-ბით, საქართველოს 1000-მდე საჯარო სკოლაში დირექტორი არ არის. განათლების მინისტრმა, გიორგი აბილას-პარმა დაკავშირებით თქვა, რომ დირექტორების შესარჩევად ხელახალი კონკურსი გამომცხადდებოდა.

# ვალენტინობა და სიყვარულის სიმბოლოები...

„ვალენტინობა“ ანუ წმინდა ვალენტინის დღე, რომელიც 14 თებერვალს აღინიშნება, ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე რომანტიკული დღესასწაულია, რადგან სიყვარულსა და შეყვარებულებს ეძღვნება. მართალია, წმინდა ვალენტინის დღე კათოლიკურმა ეკლესიამ მე-5 საუკუნეში შემოიღო წმინდანის ხსოვნის პატივსაცემად, მაგრამ ასწლეულების შემდეგ საეკლესიო დღემ საერო დღესასწაულის სტატუსი შეიძინა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. პოპულარულ დღესასწაულს, რომელიც მე-13 საუკუნის ევროპაში აღინიშნა პირველად და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ გავრცელდა ამერიკაში, დღეს ყველა ერთნაირი ხალხით, თუმცა განსხვავებული ტრადიციებით აღინიშნავს.

ინგლისში ვალენტინობის დღეს საბედოზე მკითხაობაა მიღებული. გასათხოვარი გოგონა ადრიან დილას იხედება ფანჯრიდან და ვისაც პირველს დაინახავს, სწორედ მას სთხოვს მიჯნურობას. ყველაზე გავრცელებულ საჩუქრად ინგლისელები სილამაზისა და სიყვარულის უძველეს სიმბოლოს - ვაშლს მიიჩნევენ, რომელსაც საყვარელ ადამიანებს ჩუქნიან. ორიგინალური ტრადიცია აქვთ უელსელ ახალგაზრდებსაც, რომლებიც საკუთარი ხელით ამზადებენ ხის კოვზებს, გულებით, გასაღებებით აფორმებენ და რჩეულებს ჩუქნიან, რადგან ითვლება, რომ სწორედ „სიყვარულის კოვზს“ შეუძლია საყვარელი ადამიანის „გულის გახსნა“. ირლანდიელები თებერვალში წმინდა ვალენტინთან

ერთად წმინდა ოსვალდის დღესაც აღნიშნავენ, რომელიც 29 თებერვალს ემთხვევა. გოგონებს მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ეძლევათ შანსი შესთავაზონ რჩეულებს მეუღლეობა, რაზეც მამაკაცებს არ აქვთ უარის თქმის უფლება, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 29 თებერვალს მამაკაცები მაქსიმალურად ერიდებიან ქუჩაში გასვლას, რათა თავი დააღწიონ მოულოდნელ უსიამოვნებებს. ამომავალი მზის ქვეყანაში სიყვარულის დღემ მეტწილად გონიერი მარკეტოლოგების წყალობით მოიპოვა პოპულარობა. იაპონელები არასდროს გამოირჩეოდნენ ტკბილეულის განსაკუთრებული სიყვარულით, ამიტომ შოკოლადი და სხვა ნუგბარი ყოველთვის ცუდად საღებობა ქვეყანაში, რამაც შოკოლადის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაციის მენეჯერებს მეტად ორიგინალური ტრადიციის შემოღება შთააგონა. თავმდაბალ და მოკრძალებულ გოგონებს, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი აღზრდის ტრადიცია უკრძალავს მამაკაცებთან ფლირტს, წელიწადში ერთხელ, სწორედ 14 თებერვალს შოკოლადის ჩუქებით შეუძლიათ გამოხატონ სიმპათია რჩეული მამაკაცების მიმართ. არ ჩამორჩნენ იაპონელებს არც სამხრეთ კორეელები, რომლებიც წელიწადში სამჯერ ზეიმობენ სიყვარულის დღეს. 14 თებერვალს მხოლოდ ქალბატონები გამოხატავენ სიმპათიას და ტკბილეულით, განსაკუთრებით შოკოლადით ანებივრებენ მამაკაცებს. იტალიელებმა 14 თებერვალს „ტკბილი დღე“ უწოდეს, რადგან საუკეთესო საჩუქრად რჩეულისთვის სწორედ ტკბილეულს - გულის ფორმის შოკოლადს და ორცხობილას არჩევენ. რო-



მანტიზმით გამორჩეული ფრანგებისთვის სიყვარულის დღეც მეტად მნიშვნელოვანი დღესასწაულია, მით უფრო, რომ ტრადიციულ საჩუქრებს - ტკბილეულს, ნიღბლვარდებს და ძვირფას საიუველირო ნაკეთობებს არა მხოლოდ რჩეულებს, არამედ ოჯახის წევრებსა და მეგობრებსაც უძენიან. ბევრად თავშეკავებით გამოხატავენ სიყვარულს დანიასა და ფინეთში. დანიელები თეთრყვავილას მოკრძალებულ თაიგულსა და ლექსებს უძღვნიან რჩეულებს, ფინელები კი, განსაკუთრებული რომანტიზმის გარეშე აღნიშნავენ სიყვარულის დღეს და მხოლოდ მეგობრებს ულოცავენ. ლიბანსა და საუდის არაბეთში ამ დღის აღნიშვნა იკრძალება, სუვენირები კი ორმაგად ძვირი ღირს, თუმცა მყიდველებიც და გამყიდველებიც ცოდვის აღკვეთის სპეციალური კომისიის მიერ იდენტიფიცირებული, რომელიც უმკაცრესი სასჯელით - პატიმრობით, სოლიდური ჯარიმითა და შოლტის 1500 დარტყმით ემუქრება ურჩ შეყვარებულებს.

მივფრინავთ პრალაში. ეს იყო მისი სიურპრიზი ვალენტინობის დღესასწაულთან დაკავშირებით. რაც შეეხება ყვავილებს, არ მიყვარს ყვავილები, რატომღაც იმ წამსვე მიცვალებულთან ასოცირდება, შესაბამისად, როცა მოვკვდები, მაშინაც მეყოფა გულზე ყვავილები, ჩემმა ქმარმა ეს იცის და არასდროს მჩუქნის ყვავილებს“- ასე ამბობს ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი მოსიყვარულე ოჯახური წევრი. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარკვეული მიზეზების გამო, საზოგადოების დიდ ნაწილს ყოველდღიურად თავის გატანა უჭირს და როცა ქუჩის გამოკითხვაზე გავედიტ და გასაუბრება ვცადეთ, ამ თემაზე საუბარი მათთვის ღიმილისმომგვრელი აღმოჩნდა. ზოგი გარკვეული ირონიით უდგებიან საკითხს და მიანიშნა, რომ თუ იქნება მატერიალური კეთილდღეობა, მათ სხვისგან დანესებული დღეები არ სჭირდებათ, ისედაც ყოველდღე იზეიმებდნენ სიყვარულს.

**აქვე დასასრულს ვიტყვი, რომ ცხოვრება და მისი თითოეული დღე ჩვენ უნდა გავილაგოთ და მისი ნაწილი ბარათში ისე ლამაზად ავვაჭოთ, რომ ვალენტინობა, სიყვარულის დღე და სხვა რომანტიკული დღესასწაულები მხოლოდ სიმბოლოების აღმნიშვნელი იყოს და არაფრით გამოჩნდეს, რადგან ცხოვრება არცთუ ისე ხანგრძლივია საიმისოდ, რომ ადამიანებმა მუდმივად რაღაც პარტი სიხალისის მოლოდინით იცხოვრონ, არამედ მისი თითოეული წამი ჩვენ უნდა ვაქტივობ დღესასწაულად.**

მომზადდა ელზა ხარაშვილმა



## ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები პარიზში მიმდინარე ორ მნიშვნელოვან გამოფენაში მონაწილეობენ

12 ქართული კომპანია წარმოდგენილია ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე „RAW Wine Paris“; ასევე 12 კომპანია მონაწილეობს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „VinExpo Paris“.

გამოფენებზე ქართული ღვინის სტენდები ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზელამ დაათვალიერა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, ევროპის ქვეყნებში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებებისა და მედია კამპანიების დასაგეგმად, საქმიან შეხვედრებს მართავს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან.

„ღვინის ეროვნული სააგენტო განაგრძობს კერძო სექტორის მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყოს მსოფლიოს პრესტიჟულ გამოფენებზე, რაც არის უნიკალური შესაძლებლობა ქართული ღვინის ცნობადობის გასაზრდელად, ახალი სავაჭრო პარტნიორობის მოსაძიებლად და გლობალურ

ბაზარზე დასამკვიდრებლად. მსგავს გამოფენებზე, ტრადიციულად, თავს იყრიან ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის“, - განაცხადა ლევან მეხუზელამ.

გამოფენაზე „RAW Wine“, რომლის ორგანიზატორი ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონია, მაღალი ხარისხის ბუნებრივი და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან, ხოლო „VinExpo Paris“ ითვლება ერთ-ერთ მასშტაბურ გამოფენად, სადაც ტრადიციულად, თავს იყრიან ღვინის მწარმოებლები, პროფესიონალები, იმპორტიორები და ექსპერტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

გამოფენებზე ქართული სტენდები დაათვალიერა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთის რესპუბლიკაში გორა ჯავახიშვილმა.

## 15 თებერვალი გავვითა ონკოლოგიური დაავადებების საერთაშორისო დღე

2023 წელს, სახელმწიფომ, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების სამკურნალოდ უპრეცედენტო პროგრამა დაიწყო - ყველა ბენეფიციარს, მკურნალობა, როგორც საქართველოში, ისე - ესპანეთის, ისრაელისა და თურქეთის წამყვან, მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებებში სრულად უფინანსდება.

ახლახან, პროგრამა გაფართოვდა. 3 ახალი კლინიკა დაემატა - ბენეფიციარებს, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას „აჯობადემის ჰოსპიტალი“, „ლივ ჰოსპიტალი“ და „ჰოსპიტალი მემორიალი“ უკვე აწვდიან.

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების მკურნალობა უკვე 6 კლინიკაშია შესაძლებელი, მათ შორის ისრაელისა და ესპანეთის მაღალტექნოლოგიურ, მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრებში.

ჯანდაცვის სამინისტრო, აქტიურად მუშაობს ევროპის სხვა წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთანაც.

მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა 2023 წლის აგვისტოში ამოქმედდა. დღემდე, პროგრამაში, 50-ზე მეტი ბავშვია ჩართული. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება დიაგნოსტიკა და მკურნალობის კურსი-ქიმიოთერაპია, სხივურ თერაპია, ოპერაციული ჩარევა და პროტონოთერაპია.

18 წლამდე ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პირების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპია, საქართველოში თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრის გახსნამდე, რომელიც ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა 2022 წლის დეკემბერში დააანონსა. აღნიშნულ ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი, ერთ სივრცეში. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურ სამუშაოებს ახორციელებს.

ონკოლოგიური დიაგნოზის

# ფრანგული განათლება და თავგადასავლები

„ერასმუს“-ის გაცვლითი სასწავლო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, დედოფლისწყაროელი ლევან პოპიაშვილი საფრანგეთში გაემგზავრა. ევროკავშირის დაფინანსებით საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა ევროპის ქვეყნებში სწავლა და ცხოვრება ფინანსდება. ამჯერად ლევან პოპიაშვილი კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტია. გაზეთი „შირაქი“ მას ფრანგულ შთაბეჭდილებებსა და თავგადასავლებზე ესაუბრა.

**ლევან პოპიაშვილი:** „ბავშვობიდან მიწოდდა საფრანგეთში წასვლა, რადგან ძალიან მომწონდა ფრანგული ისტორია, ლიტერატურა. მთლიანად ფრანგული კულტურა მხიბლავდა, მათი ცხოვრების წესი, თავისუფლების ხარისხი და ა.შ. კონკრეტულად ამ უნივერსიტეტში მოხვედრაც ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე დაინიშნე ფრანგული ენის შესწავლა. მესამე წელია ვუფლებები მათ ენას და აქ ჩამოსვლამ ეს პროცესი უფრო ეფექტური გახადა.“

— **გაცვლითი სასწავლო პროგრამაში მოხვედრა მარტივი არ არის. გვიამბე რა სირთულეების გადალახვა დაგჭირდა საიმიოდ, რომ რჩეულთა შორის ყოფილიყავი და საფრანგეთში წასულიყავი?**


— კავკასიის უნივერსიტეტისთვისაც პირველი შემთხვევა იყო საფრანგეთში გაცვლითი პროგრამით სტუდენტის გაშვება და მათთვისაც სიახლე იყო. ამ პროგრამაში განაცხადის წარსადგენად აუცილებელი იყო მაღალი აკადემიური მოსწრება მქონოდა, აუცილებელი იყო ინგლისური ენის გამოცდის გავლა და საერთაშორისო სერთიფიკატის მოპოვება. მოითხოვეს პროფესორის სარეკომენდაციო წერილი, სადაც ის წერს, თუ რატომ ვიმსახურებ ამ პროგრამაში ჩართვას და რა თვისებებით გამოიჩინევი. ამ ყველაფრის შემდეგ სამოტივაციო წერილი შევავსე, სადაც დავასაბუთე, რატომ უნდა მიმეღო ამ პროგრამის დაფინანსება. სამოტივაციო წერილს დიდი ხნის განმავლობაში ვამუშავებდი, ბევრი გამოცდილი ადამიანის რჩევა მივიღე, შენიშვნებიც გავითვალისწინე. ვფიქრობ, ეს ყველაფერი კარგად წარვაგადგინე და იმის გამო, რომ ყოველთვის მაღალ ქულებზე სწავლას ვახერხებდი, შემარჩიეს და კონკურენცია გაეუწიე დანარჩენ მსურველებს. გადაწყვეტილების მიმღები პირები და კომისიის წევრებიც კარგად მიცნობდნენ და უნივერსიტეტის გარეთაც სხვადასხვა გავლით ლონისძიებებზე ხშირად შევხვედრივარ. საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოვიყალიბე და ისინი პიროვნულადაც მიცნობდნენ. ვფიქრობ, ყველა ამ ფაქტორმა, ჯამში მომიტანა დადებითი შეფასება. იმ ბევრი სტუდენტიდან, რომელიც გაცვლითი პროგრამის მსურველი იყო მე შემარჩიეს. ჯამში სამი სტუდენტი შეირჩა, სამივე ჩემი უნივერსიტეტიდან ვართ და სამივე საფრანგეთში. საკმაოდ შრომატევადი პროცესი იყო.

— **რა განცდაა, როცა სამეულში ხვდები და საოცნებო ქვეყანაში ჩადიხარ... როგორი იყო ფრანგული ემოციები?**

— მართლაც ამაღლებული შთაბეჭდილებებია... როცა ევროპის ასე განვითარებულ ქვეყანაში ჩადიხარ, უამრავი ფაქტორი მოქმედებს. ბევრ სიახლეს ხვდები, დაწყებული მოქალაქეთა ზოგადი მეხედულეობისა და ფასეულობებიდან, ყოველდღიური რიტმის დეტალბამდე. ბევრი აღმოჩენის შესაძლებლობა მომეცა, რაც პიროვნული განვითარების შეგრძნებას მიმდგრებს. ეს კი ყველა ადამიანისთვის სასიხარულო განცდაა. მნიშვნელოვანია, როცა საფრანგეთში ერთ-ერთ ნამყვან უნივერსიტეტში ჩადიხარ. რენის ბიზნეს სკოლა, სადაც მე მოვხვდი „ფაინანსული თაიმისის“ რეიტინგით ერთ-ერთი პირველია. ფრანგული ბიზნეს სკოლების ათეულშია, ხოლო საბაკალავრო საფეხურით საუკეთესო ხუთეულში შედის. მას გააჩნია სამმა-

გი აკრედიტაცია, რაც იმდენად დიდი მიღწევაა, რომ მსოფლიო უნივერსიტეტების მხოლოდ 1%-ს აქვს. ეს ყველაფერი დამატებით მოტივაციას მძლევს და მიხარია, რომ ასეთ ადგილას მოვხვდი. ამ მცირე დროში ბევრი რამ მოვახსნარი.

ბრეტანის რეგიონის ქალაქი რენი ერთ-ერთი ისტორიულ-კულტურული ცენტრია. აქ ბევრი ისტორიული ადგილი და მემკვიდრეობის ძეგლია. ეს ქალაქი კარგად გავიცანი და დავათვალიერე. მომეწონა ადგილობრივი კერძებიც. ყოველი შაბათ-კვირა დაგეგმილი მაქვს. პირველ რიგში დედაქალაქს ვესტუმრე, პარიზის შემდეგ კი დავინიშნე ჩრდილოეთ საფრანგეთიდან, ნორმანდიის ოლქიდან ყველა რეგიონს დავათვალიერებ. შემდეგ კი უკვე ევროპის სხვა ქვეყნების მონახულებაზე გადავალ. ასე რომ, ჩემი გეგმების დიდი ნაწილი ასევე დაკავშირებულია მოგზაურობასთან. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა, რასაც ევროკავშირის წევრი ქვეყანა იძლევა. ბევრი საინტერესო ადამიანის გაცნობა მოვახსნარი. მათთან ერთად ბევრ საინტერესო რამეს ვგეგმავ. ყოველი შაბათ-კვირა წინასწარ დაგეგმილი მაქვს და ძირითადად მოგზაურობებს უკავშირდება. ასეთი მოგზაურობები ამ პროგრამით არ ფინანსდება, მაგრამ გაცვლითი პროგრამის მონაწილეებს გვაქვს სტიპენდია, რომლის სწორად განკარგვის შემთხვევაში სამოგზაუროდ საკმარისი თანხა გვრჩება და შეგვიძლია მოგზაურობას მოვახმაროთ. ევროკავშირის ქვეყნებს შორის გამარტივებული მიმოსვლაა და სავიზო შეფერხებები არ მოქმედებს. ამას გარდა, ჩვენ გვაქვს საერთაშორისო სტუდენტის სტატუსი, რაც ფასდაკლებებს და შეღავათებს გვანიჭებს როგორც ტრანსპორტირების დროს, ისე კვების ობიექტებსა, თუ კულტურულ დაწესებულებებში.



„გულდასაწყვეტია, რომ ხანძრისგამო ნოტრ-დამი შეინდნენ დაწვენი დაავათვალიერე“

— **საერთო საცხოვრებელში ცხოვრობ, თუ მასპინძელ ოჯახში?**

— ოჯახში ვცხოვრობ, ქალაქის ცენტრში... როცა საქართველოდან შერჩეული სტუდენტების სია გამოქვეყნდა, იმ დროისთვის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ადგილები უკვე შეესებოდა იყო. რენი ძირითადად სტუდენტური ქალაქია. ყოველწლიურად 70 000-მდე სტუდენტი ჩამოდის, როგორც სხვადასხვა ქვეყნიდან, ისე საფრანგეთის ქალაქებიდან, მათ შორის პარიზიდან. ამიტომ ბინის მოძებნა დამჭირდა.

— **თბილისური სტუდენტური ცხოვრების შემდეგ ფრანგული სტუდენტობა ბევრად მრავალფეროვანი იქნება, გარდა იმისა, რომ იქ სხვა მასშტაბებია...**

— აქაური სტუდენტური ცხოვრება ძალზე საინტერესოა, სწავლასთან ერთად გართობასაც მოიცავს. გართობის თვალსაზრისითაც საკმაოდ მრავალფეროვანია და ბევრი შესაძლებლობებია, როგორც ამავე ქალაქში, ისე ქვეყანაში. მოკლევადიან გეგმებს რაც შეეხება,

მინდა მივიღო მაქსიმალური განათლება, რის შესაძლებლობასაც ეს უნივერსიტეტი იძლევა. ასევე მინდა მაქსიმალური გამოცდილება დავაგროვო და შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენო. გავიცნო ბევრი ხალხი, გავეცნო თითოეული მათგანის კულტურასა და ტრადიციებს. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ მათ ჩემი ქვეყნის კულტურაც ახლოს გავაცნო და ლირსეულად წარვუდგინო. მინდა ამის შემდეგ ჩემს ძველსავე დავერუნდე, ამ მიღებული გამოცდილება და დაპირებების შედეგად ჩემი ძველის სანსიკაიმოდ გამოვიყენო. შევეცადე უშუალოდ ჩემი რეგიონის, მშობლიური დედოფლისწყაროს განვითარებისთვის გამოვიყენო. თუ ამ ყველაფერს შევძლებ, მერე უკვე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემთვის წარმატებული იყო გაცვლითი სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა.

— **რა შესაძლებლობები დაგანახა ამ პროგრამამ ადგილზე ჩასვლიდან პირველივე დღეებში?**

— ერთ-ერთი შესაძლებლობა, რასაც ეს პროგრამა იძლევა, ისაა რომ სტუდენტი სხვა ერების კულტურას გავიცნოს. სასწავლო პროცესში ყოველდღიურად მიწვევს 60-ზე მეტი ეროვნების ადამიანის გაცნობა-დამეგობრება. ისინი თავიანთი ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რჩეული სტუდენტები არიან, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილებებს საფრანგეთში ეძებენ. პროგრამა დიდ შესაძლებლობას იძლევა იმისთვის, რომ ჩემი ქვეყნის კულტურა გავაცნო მათ. როცა ისინი ფრანგულ კერძებსა და ღვინოს აგემოვნებენ, მოსწონთ, მაგრამ ამ დროს ჩემგან ისმენენ, რომ ღვინის სამშობლო რეალურად საქართველოა... ყველა დიდ ინტერესს გამოხატავს, რომ საქართველოში იმოგზაუროს და ადგილზე გავიცნოს ჩემს სამზარეულოს, ტრადიციებსა და ღვინოს. ასევე ხშირად ვყვენი, რომ ჩემი მშობლიური კახეთის რეგიონი ღვინის წარმოებითაა ცნობილი. მართლა დიდ სიამოვნებას მანიჭებს ის, რომ ქართული ტრადიციების შესახებ სხვა ეროვნების ახალგაზრდებთან ვსაუბრობ. ეს სასწავლო პროგრამა ასევე საუკეთესო საშუალებაა საიმისოდ, რომ მსოფლიოს მრავალ ნერტილში გყავდეს მეგობრები.

— **პირველ რიგში, პარიზში გაემგზავრე. გავიზარე, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი საოცნებო ქალაქიდან?**

— 3-4 თებერვალს დავათვალიერე საფრანგეთის დედაქალაქი. პარიზული მოგზაურობიდან აღფრთოვანებული დაბრუნდი. მოლოდინიც ასეთი მქონდა, რადგან ბევრისთვის საოცნებო ქალაქია. მითუმეტეს ჩემთვის უფრო მეტად, რადგან ფრანგულს ვსწავლობდი და ფრანგული კულტურით დიდი ხანია დაინტერესებული ვარ. ამ თავგადასავალში ერთადერთი უარყოფითი ის იყო, რომ დროში შეზღუდული ვიყავი და ლექციების გამო მალე უნდა დაბრუნებულიყავი. ამიტომ, ამჯერად პარიზში მხოლოდ შაბათ-კვირის გატარება მომიწია. თუმცა, კიდევ ვაპირებ დაბრუნებას, როცა დრო მომცემს შესაძლებლობას. დროის დეფიციტის გამო ორ დღეში ყველა მნიშვნელოვანი ადგილის მონახულება ვერ მოვახსნარი, ბევრი დამრჩა სანახავი. როგორც ჩავედი, პირველ რიგში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ვნახე, შემდეგ კი ტრიუმფალურ თაღთან გადავიჩინე და შანზ-ელიზეზე გავივლი. მულენ რუჟიცი ვნახე, ამაყა ცალიან მომიხიბლა. თავისთავად ცხადია, უსიამოვნო შეგრძნებაა, როცა ამდენად მნიშვნელოვან ძეგლს, როგორცაა ნოტრ-დამი, ხანძრისგან დაზიანებულს ხედავ და იქ მიმდინარე



სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ვერ ახერხებ შიგნით შესვლას... გულდასაწყვეტია, თუმცა, ამას გადაწონის ის, რომ თავად ამ უნივერსიტეტში შენობის საკუთარი თვალთ ნახვის საშუალება მოგეცა ახლო მანძილიდან და ხვდები, რომ ფოტოებში ნანახსა და წაკითხულზე ბევრად უკეთესია, როცა მის ეზოში სეირნობ. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, 2024 წლის ბოლოს დასრულდება რესტავრაცია და შესაძლებელი გახდება ინტერიერის დათვალიერებაც. იმედი მაქვს, მოვახერხებ განახლებული ტაძრის მონახულებას.

სიტყვს კუნძული მოვინახულე, რომელიც ისტორიული ადგილია მდინარე სენაში და დიდი კულტურული მემკვიდრეობაა აქვს. ის პარიზის ცენტრში მდებარეობს, სადაც შუა საუკუნეების ქალაქი ნარმოიქმნა. უზომოდ კმაყოფილი დავბრუნდი იქიდან. სანშაპელის მონასტერი ვნახე. მეგობრებთანაც გავერთე და სავაჭრო ცენტრები დავათვალიერე. საღამოს ეიფელის კოშკთან გადავინაცვლეთ. მეორე დღეს ლუვრის მუზეუმს ვესტუმრეთ, სადაც ჩვენთვის, როგორც საერთაშორისო სტუდენტებისთვის, შესვლა უფასო იყო, ამიტომ უზარმაზარ როგორც დგომა არ მოგვინია და ამ პრივილეგიამ გავახარა. ამაზე მეტი დრო მოგვცა, რომ უზარმაზარ ლუვრში მეტი დრო გამოვიყენოთ დაგვეთმოს. ლუვრი საუკეთესო რამაა, რაც პარიზში ყოფნისას ვნახე. ყველაზე შთაბეჭდავი აღმოჩნდა, რადგან ერთ შენობაში ამდენი საოცარი ხელოვნების ნიმუში, ამდენი ისტორიული ქანდაკება რომაა წარმოდგენილი, შეუძლებელია გულგრილი დაგტოვოს. გაცილებით ემოციურია, როცა ამ ყველაფრის შესახებ ლექციებს ისმენ, კითხულობ, ინფორმაციას აგროვებ, შემდეგ კი ამ ყველაფერს მუზეუმში საკუთარი თვალთ ნახულობ, განსაკუთრებულ შეგრძნებებს განიჭებს. ალბათ ამიტომ, ძალიან მოვიხიბლე ლუვრით. გადაწყვიტე, პარიზში ყოველი ჩამოსვლისას აუცილებლად ვწვიო ლუვრს და ახალ-ახალი აღმოჩენები გავაცთვო.

ორსეის მუზეუმთანაც მივედი, მაგრამ შესვლა ვერ შევძელი, იმხელა რიგი იყო, დროს იქ თუ დავკარგავდი, სხვა ადგილებს ვეღარ მოვახსნებდი. თუმცა, სამომავლოდ აუცილებლად დავბრუნდები ამ მუზეუმშიც, აქ ვან გოგის, რენუარისა და მანეს ნამუშევრებია და ძალიან მინდა მათი ნახვაც შევძლო, რადგან ჩემი აზრით, ეს ნახატები ძალიან საინტერესოა. საბოლოო ჯამში, მოგზაურობამ კარგად ჩაიარა. ისევე მომყვება ის ემოციები. მინდა ვნახო პანთეონიც, გალერიები მინდა ვნახო, ბევრი მნიშვნელოვანი და აუცილებლად სანახავი ადგილია.

— **საჯარო სკოლა იძლევა წარმატებული სწავლის შესაძლებლობებს, თუ რეპეტიტორთან მომზადება და საკუთარ თავზე მუშაობაა გადამწყვეტი?**

— ჩემი აზრით, სამივე ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა ყველაზე მთავარ საკითხად მონდომებასა და დასახული მიზნისკენ გაუჩერებლად სვლას მივიჩნევ. თუკი ადამიანი დაბრკოლებებს შეუშინდება, მაშინ იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგი სასწავლო დაწესებულება უმაგრებს მხარს, იგი მიზანს ვერ მიაღწევს.

ესაუბრა ილია მარტყოფლივი

# ადამიანური სამუშაო ქალა ჯერ კიდევ ბევრად იაფია, ვიდრე ხელოვნური ინტელექტი


კომპანიებისთვის ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრირება და ექსპლუატაცია სამუშაო ადგილების მხოლოდ 23%-ზე იქნება მიმზიდველი, სხვა შემთხვევებში კი ჩანაცვლება მათ ადამიანის დასაქმებაზე ბევრად ძვირი დაუჯდებათ. ამის შესახებ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) ახალ კვლევაში ნერია, სახელწოდებით „AI-ს ზეგავლენის მიღმა“ (Beyond AI Exposure), რომელიც პროდუქტიულობის ინსტიტუტთან და IBM-ის ბიზნესლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა.

„ჩვენ დავადგინეთ, რომ დღევანდელი ხარჯებით აშშ-ის ბიზნესს არ უღირს ამოცანების უმეტესი ნაწილის ავტომატიზაცია, რომლებზეც AI-ს აქვს ზეგავლენა. ამ ამოცანების შესრულებისთვის მუშახელის ხელფასის მხოლოდ 23% იქნება მიმზიდველი ავტომატიზაციისთვის,“ - ნერენ მკვლევარები.

მათ აშშ-ის ბაზარზე სხვადასხვა საქმიანობის ავტომატურ რეჟიმზე გადაყვანის ხარჯთაღრიცხვით პოზიციის ხელფასების გათვალისწინებით დათვალეს. კვლევა სხვადასხვა სააგენტოს და კომპანიის მზარდი განცხადებების ფონზე ჩატარდა, რომ ხელოვნური ინტელექტს ადამიანური რესურსის ჩანაცვლების პოტენციალი აქვს.

ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო კვლევით, ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა, მსოფლიოში 40%-მდე სამუშაო ადგილებზე მოახდინოს გავლენა, რაც უფრო განვითარებულ ეკონომიკაში პოტენციურად 60%-მდე გაიზარდება. ასევე, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გამოკითხვამ აჩვენა, რომ კომპანიების, თითქმის, 75% გენერაციული ხელოვნური ინტელექტის დანერგვას მოელოს, რომ სამუშაო ადგილების მოსალოდნელი შემცირების ფონზე AI ჰუმანიდული და ინდუსტრიული რობოტების შემდეგ გამოიყენოს.

MIT-ის კვლევა 800 პოზიციას შეეხო და 1000-ზე მეტი სამსახურბერი ამოცანა გააანალიზა, რომლის დროსაც ამოცანების მხოლოდ 3%-ის ავტომატიზაცია აღმოჩნდა ხარჯთაღრიცხვით. თუმცა, კვლევის პროგნოზით, 2030 წლისთვის ეს



მაჩვენებელი შესაძლოა, 40%-მდე გაიზარდოს.

**AI-ის ადამიანის ჩანაცვლება ყველაზე ხარჯთაღრიცხვითი საცალო ვაჭრობის, ასევე, ჯანდაცვის სექტორებში იქნება.**

„ხელოვნური ინტელექტის გავლენა თანდათანობითია და არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ის საბოლოოდ, ადამიანთა სამუშაო ადგილებს მოიცავს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ხარჯები შემცირდება ან ის სერვისის პლატფორმებით განვითარდება, რომლებსაც უფრო დიდი მასშტაბები აქვს. AI-ს განვითარებით სამუშაო ადგილები მოსალოდნელია ნელა დაიკარგება. სამუშაო ძალის ჩანაცვლება იქნება ეტაპობრივი და არა მკვეთრი პროცესი,“ - ნერენ მკვლევარები.

ხელოვნური ინტელექტი იგივე AI კომპიუტერული ალგორითმია, რომელიც ასრულებს ისეთ ინტელექტუალურ ქმედებებს, რომლებიც, როგორც წესი,

დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისთვის. მისი სისტემები შექმნილია მონაცემების აღქმისა და ინტერპრეტაციისთვის, მრავალმხრივი მსჯელობისა და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მისაღებად. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმს შეუძლია ისწავლოს გამოცდილებიდან და გენერირებული მონაცემთა ბაზებიდან. ეს სისტემები მიზნად ისახავს ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების გამოვლენას ან სიმულაციას, რაც მათ საშუალებას აძლევს გადაჭრას პრობლემები და დაუკავშირდეს სამყაროს ისეთი გზებით, რომლებიც მიმსგავსებულია ადამიანის ინტელექტთან.

ხელოვნური ინტელექტის მეთოდებისა და ალგორითმების გამოყენების სფერო ძალიან ფართოა. კერძოდ:

- \*კომპიუტერული ხელვა - გამოსახულებათა ანალიზი მავალითა: არქეოლოგიაში, მუზეუმებში, რეესტრში, სამხედრო საქმეში, მედიცინაში, კარტოგრაფია, კადასტრი, თითის ანაბეჭდები, პირისახე;
- \*საბანკო საქმე (დაზღვევა, საბირჟო

თამაშები, საკუთრების მართვა) და ეკონომიკა (სწორი სტრატეგიის შერჩევა);

\*მეტყველების აღმქმელი და ამომცნობი მანქანები;

\*ექსპერტული სისტემები;

\*ობიექტების ამოცნობა;

\*მონაცემთა ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება;

\*სამედიცინო დიაგნოსტიკა;

\*კომპიუტერული თამაშები;

\*რობოტოტექნიკა და სხვა;

ხელოვნური ინტელექტის შესწავლის და გამოყენების ობიექტებს მიეკუთვნება ადამიანის მოღვაწეობის მრავალი სფერო:

\*ეკონომიკა და ფინანსები, სამხედრო საქმე, მედიცინა, სასარგებლო წიაღისეულის ძებნა, სწავლების სისტემები განათლებაში, სამოქალაქო ტრანსპორტი, კომპიუტერული თამაშები, სანარმოო სისტემები (რობოტი მანიპულატორები), კომპიუტერული სისტემები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ.).

## ნომოფობია ახალგაზრდებში როგორია საერთაშორისო კვლევების შედეგები?

მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი იტანჯება ნომოფობიით. ეს არის სმარტფონის გარეშე ყოფნის შიში და სამუხტი ბატარეის, ინტერნეტის არქონის ან სხვა მიზეზის გამო. ზოგიერთი ფსიქიატრი გააფრთხილებს (ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობა, რომელსაც აქვს ძალიან სპეციფიკური ფუნქცია, როგორცაა ხმის ჩანერა, მუსიკის დაკვრა, მეთვალყურეობა, ვიდეო დაკვრა, ფოტოების ჩვენება და ა.შ.) ავადმყოფურ მიჯაჭვულობას საერთაშორისო პრობლემადაც კი უწოდებს.

კვლევამ აჩვენა, რომ სმარტფონის მიმართ ლტოლვა და არსებული კონტენტით საზრდოობა გამოწვეულია არა იმდენად მოწყობილობის ან მისი შინაარსის სიყვარულით, არამედ რეალურ ცხოვრებაში ფსიქოლოგიური კონტაქტის და ემოციური რეაქციების ნაკლებობით.

### no mobile phone phobia

ტერმინი „ნომოფობია“ (nomophobia) არის შემოკლება გამოთქმისა: no mobile phone phobia. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ოფიციალურ ნომენკლატურას ფსიქიკური აშლილობებისა და დაავადებების შესახებ (Diagnostic Manual of Mental Disorders) ჯერ არ აქვს ასეთი ტერმინი, ის უკვე შეიცავს მის აღწერილ მახასიათებლებს.

ტერმინი „ნომოფობია“ ჯერ კიდევ 2008 წელს გაჩნდა. ის გამოიყენეს გაერთიანებული სამეფოს საფოსტო სამსახურის მიერ YouGov-ის გამოკითხვაში.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამ ფენომენის ფესვები კიდევ უფრო ღრმაა - 1983 წელს ფსიქოლოგიაში გამოჩნდა ტერმინი „ტექნოფობია“, ანუ ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების შიში სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიებისა და ელექტრონიკის ფონზე.

ექსპერტები სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ ადამიანები გააფრთხილებს ტყვეები გახდნენ, ნომოფობია კი მსოფლიო ფენომენად იქცა. გასულ წელს გამოქვეყნდა კანადისა და ბაჰრეინის მეცნიერების მიერ ჩატარებული საერთაშორისო კვლევა: ათ ქვეყანაში გამო-

კითხულმა ზრდასრულთა 71%-მა აღნიშნა, რომ ზომიერი ნომოფობიის ნიშნები აქვთ, ხოლო 21%-ს მძიმე ნომოფობიის კვლევაში 12,5 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

ნომოფობიისადმი ყველაზე მგრძობიარენი იყვნენ სტუდენტები და თინეიჯერები.

### უან ნომოფობია ხარ?

აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს თვითდიაგნოსტიკის ტექნიკა, რომელიც საშუალებას გაძლევთ გაიგოთ ნომოფობიის ხარისხი. 20-მდე შეკითხვაზე პასუხის გაცემით

ადამიანს შეუძლია არა მხოლოდ დაადგინოს, რამდენად ეშინია მობილური მონაცემების გარეშე დარჩენის, თუნდაც მცირე ხნით, არამედ გაარკვიოს, თუ რა სჭირდება მას სმარტფონის მუდმივი გამოყენებისგან.

### კითხვებს უპირისპირა:

\* ვლიზანდები თუ არა იმ შემთხვევაში, თუ ჩემი სმარტფონიდან ვერ ვიღებ ინფორმაციას, როდესაც ეს მინდა?

\* რამდენად მეშინია, რომ ჩემი სმარტფონის ბატარეა დასამუხტი გახდება?


\* თუ ჩემი სმარტფონი დაკარგავს ფიჭურ/მონაცემთა/Wi-Fi სიგნალს, მყისიერად ვცდილობ ხელახლა დაკავშირებას?

\* მეშინია სმარტფონის დაკარგვის? და ა.შ.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყველა კითხვაზე გულწრფელი პასუხის გაცემით ადამიანს შეუძლია გაცნობიეროს, არის თუ არა ნომოფობია.

მეცნიერების დასკვნით, გაჯეტებზე მიჯაჭვულობის ერთ-ერთი მიზეზი მუდმივად დაუპყრობილობის შიშია, რადგან, სხვადასხვა კონტენტის ჟურნალის, გამომცემის რჩება გრძობა, რომ რაღაც ბოლომდე ვერ მიიღებთ და სიცარიელის შესავსებად ისევ სმარტფონს უნდა მიმართოთ.

გვერდი მოამზადა შუშუნა ყანაშვილმა



# განაჩენი გიორგი ალხანიშვილის მკვლელობის საქმეზე

ზემო მარხანელი 19 წლის გიორგი ალხანიშვილის მკვლელობის საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ ორი განაჩენი გამოაცხადა, თუმცა საქმე ამით არ დასრულებულა. ერთის გარდა ყველა დაკავებულს სასჯელი უკვე შეეფარდა, მაგრამ ისევ უცნობია, რა მიზეზით მოკლეს თანაკლასელი. როგორც ჩანს, სასამართლო განხილვა სამ ნაწილადაა გაყოფილი. სასჯელი ჯერ არ შეეფარებოდა ძირითად დამნაშავეს, რომელიც მკვლელობიდან მესამე დღეს ლონდონში მიიღო და სკოტლანდ-იარსა რამდენიმე თვის წინ ბრიტანეთში დააკავა.

მათ შორის სასულიერო პირი, რომელმაც მომხდარი იცოდა, მაგრამ სამართალდამცველებს მინც არ შეატყობინა.

15 თებერვალს სასამართლომ უშუალოდ მკვლელობაში თანამონაწილე ახალგაზრდების განაჩენი გამოიტანა, თუმცა ისინი მონაწილეობის მუხლით არ გაუსამართლებიათ. დედოფლისწყაროელი გიორგი ალხანიშვილის მკვლელობის დაფარვისა და მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის საქმეზე ბათუმის სასამართლომ ალექსანდრე ახვლედიანს 4 წლი-თა და 6 თვით, ღამით მინაპდუს 5 წლით და 6 თვით, ლუკა ჯიბლაძეს 5 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. გადანაწევლებმა მოსამართლე წინო სახელაშვილმა გამოაცხადა, როგორც

მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ 8 დღის განმავლობაში მათ არ გაამხილეს სიმართლე.

განაჩენის გამოცხადებას ხმაური მოჰყვა ბრალდებულების ახლობლების მხრიდან. ისინი მოკლული გიორგი ალხანიშვილის დედას მარინა მაძლარაშვილს და პროკურორს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. ბრალდებულების დედეები მიიწვევნენ, რომ ეს ბიჭები პატიმრობაში არ უნდა გაეშვათ, ისინი უდანაშაულონი არიან და დამნაშავე მხოლოდ ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი და მისი ოჯახია.

ბრალდებულებმა ალექსანდრე ახვლედიანმა და ლუკა ჯიბლაძემ განაჩენი დისტანციურად მოისმინეს. დარბაზში მხოლოდ ბრალდებული დავით მენაბდე გამოცხადდა. პროცესს ლუკა ჯიბლაძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დაესწრო, ახვლედიანმა კი თავად მოითხოვა დისტანციურად მონაწილეობა. სიტყვაში გამოხატული მხოლოდ მენაბდემ ისარგებლა, შეიქცა მარინა დედას წინ მდგარმა მენაბდემ მარინა მაძლარაშვილს სამძიმარი გამოუცხადა და მოიბოდიშა, რომ ვერაფრით დაეხმარა: „მერწმუნეთ, არანაკლებ რთულია ჩემთვის ამ ყველაფრის მოყოლა. მინდა სამძიმარი გითხრათ ქალბატონო და ვწუხვარ, რომ ვერაფრით ვერ დაგეხმარეთ. ბატონო მოსამართლე, თქვენ გეტყვით, რომ ვივარჯიშებ ჩემს დანაშაულს, თუმცა შეგზებულად არაფერი დამიშავებია,“ — აღნიშნა დავით მენაბდემ.



მოსამართლემ განმარტა, ახვლედიანის შემთხვევაში გაითვალისწინა შემასუბუქებელი გარემოება, ის რომ მან გამოიძიებასთან ითანამშრომლა და მისი მონაწილეობის გარეშე გვაქვს ადგილმდებარეობის მიკვლევა გართულდებოდა. მოკლულის დედა კი ამბობს, რომ ეს ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობაა და ბიჭები დანაშაულის დაფარვისთვის კი არა, თანამონაწილეობისთვის უნდა დასჯი-

პროცესზე თავს დამესხა მენაბდის დედა, რომელმაც უკნიდან ხელიც დამარტყა. კვილი დანიყეს და ეს მცირე სასჯელიც არ მიიღეს. არადა ჩემი შვილი მინაშა, მათი შვილების დამსახურებით არ შემატყობინეს და ისე გვიან ვიპოვე სახეზეც აღარ შემეხედავს, ტენტი გახვეული დამარხე. შეეძლოთ პირველივე დღეებში რამენაირად შეეტყობინებინათ ჩვენთვის სიმართლე. ამიტომ, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ“.

კიდევ ერთი ახალი დეტალი გაჟღერდა სასამართლოზე. პროკურორი ამბობს, რომ ტყეში დამარხულ ბიჭს ალექსანდრე ბაჟუნაიშვილმა ზემოდან მაღალი გამავლობის ავტომობილი გადაატარა, რათა საფლავი კიდევ უფრო მიუწვდომელი გაემხდარიყო და დანაშაული დაეფარათ.

ამით სასამართლომ დანაშაულში მონაწილე სხვა პირების საქმის განხილვა დაასრულა. გაგრძელდება ძირითადი დამნაშავეს, ალექსანდრე ბაჟუნაიშვილის საქმის სასამართლო განხილვა, რომელიც სკოტლანდ-იარსა რამდენიმე თვე დააკავა და ამ დრომდე საქართველოსთვის არ გამოუცხადია. ჯერ უცნობია როდის გაგრძელდება საქმის მთავარი ნაწილის განხილვა, რადგან უცნობია, ლონდონში საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი დათანხმდება საქმის განხილვაში დისტანციურად მონაწილეობას, თუ საქართველოში ჩამოყვანის შემდეგ მისცემს ჩვენებას. უცნობია ისიც, როდის გადმოსცემენ ქართულ მხარეს დაკავებულს. ამიტომ ბაჟუნაიშვილის ჩამოსვლამდე გაგრძელდება საქმის განხილვა, თუ ექსტრადიციულობა დაელოდება, ეს მომავალში გაირკვევა.

ილია მარტყოფლიშვილი


# სამრეკლოს სკოლაში სტიქიურ მოვლენებზე დაკავშირებით პროექტი განხორციელდა.

სამრეკლოს საჯარო სკოლაში სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით პროექტი განხორციელდა. როგორც პროექტის ავტორმა, ასევე სკოლის პედაგოგმა თამარ ყოჩიაშვილმა განხილვა „შირაქს“ განუცხადა, IX კლასელებთან ერთად საინტერესო აქტივობები განხორციელდა. მოინვეს დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოცდილი თანამშრომელი ზვიად სისაური, რომელმაც ბავშვებს სტიქიის შესახებ საინტერესო ინფორმაცია მიანოდა.

თამარ ყოჩიაშვილი: „დასრულდა ორკვირიანი სოციალური პროექტი „სტიქიური (ბუნებრივი) მოვლენები“, რომლის სამუშაოებიც მოხდა მოსწავლეობისთვის ბუნებრივი სტიქიების სახეობების გაცნობა და მათი მნიშვნელობის, ასევე მოსალოდნელი შედეგების გააზრება, მათგან მიყენებული ზიანის თავიდან ასარიდებლად პრევენციული მოქმედებების განხილვა და შესწავლა. საკითხის აქტუალურობა შოვის ტრადიციამ განაპირობა. მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რაოდენ დიდ ცოდნასა და დაკვირვებას მოითხოვს და რამდენად მნიშვნელოვანია სტიქიური უბედურებისგან თავის ასარიდებლად საჭირო უნარების გამომუშავება. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია სტიქიური მოვლენების შესახებ და წარადგინეს პრეზენტაცია“.

ციები. ჩამონერეს სტიქიის სახეობები და მათი განმასხვავებელი ნიშნები. მონვეული იყო ადგილობრივი მეხანძრე-მაშველი მოუხრონი ზვიად სისაური, რომელიც ჩენს სკოლაში ასევე სპორტის მასწავლებელია. ჰქონდათ უაღრესად საინტერესო შეხვედრა, გამოუმეეს კედლის გაზეთი, დაამზადეს ბუკლეტები და ინფორმირებული გახდნენ მიზნით ჩვენს თემში გაავრცელეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ცოდნა ზრდის დაცულობის ხარისხს“.

ზვიად გომილაშვილი (მოსწავლე): „ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ეს პროექტი, რადგან ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღე სტიქიურ მოვლენებზე. ინტერნეტის საშუალებით უამრავი მასალა მოვიძიე. ამ პროექტის მსვლელობას დაემთხვა მენყერი აჭარასა და ბაღდათში, სადაც ათზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ჩვენი თანატოლი ტყუპი გოგონები“.



და კიდევ რამდენიმე არასრულწლოვანი. ამ ტრადიციამ ემოციურად იმოქმედა ჩვენზე. მინდა ადამიანებს მეტი სიფრთხილისაკენ მოუხრონი იმედს მაქვს, მსგავსი უბედურება აღარ განმეორდება. ამ პროექტის დახმარებით ბევრი რამ გავიგე სტიქიურ მოვლენებზე. მაგალითად, დღედან მეცოდინება, მენყერის ან ზვიადის შემთხვევაში როგორ უნდა დავიცვათ თავი და გარშემო მყოფები. ვიმსჯელებთ იმაზეც, რა საფრთხეები არსებობს ამ მხრივ დედოფლისწყაროსა და ჩვენს სოფელში. საბედნიეროდ, სოფელ სამრეკლოში სტიქიური მოვლენები ხშირი არ არის. იმის გამო, რომ დედოფლისწყაროს რელიეფი არ არის მთაგორიანი, არ მოდის უხვი ნალექი და არ გვაქვს მდინარეები, დატბორვისა და მენყერის საფრთხე ჩვენთან ნაკლებად. ახუ, ერთ-ერთი საუკეთესო და უსაფრთხო მუნიციპალიტეტი გვაქვს. აქ მხოლოდ მინისძვრისა და ხანძრების საშიშროებაა. ამ შემთხვევაში უნდა ვიპოვოთ საიმედო ადგილი, სადაც თავს შევფარებთ. ასევე, როგორც სპეციალისტებმა აგვისხნეს, უნდა მოვერიდოთ კიბეებზე ჩარბენას. ჩვენს მიერ შექმნილ ბუკლეტებს სკოლაში ვარიგებდით იმისთვის, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს ინფორმაცია სტიქიურ მოვლენებზე“.

# თიკლა ნიკლაშვილი (მოსწავლე)

„ამ პროექტმა გამიღმავა ცოდნა სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით: თავდაცვის სტრატეგიების, მათი გამომწვევი მიზეზების, წარმოქმნის ნიშნებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ბევრი რამ გავიგე. ხოლო, მამველთან შეხვედრა საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ სპეციალისტისგან მეტი შევიტყვე სტიქიური მოვლენებით გამომწვეული რისკების შემცირებისა და უსაფრთხოების შესახებ. მამველის საუბარმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. საინტერესო, დამაჯერებელი და შინაარსიანი იყო. ჩემში შეცვალა დამოკიდებულება სტიქიური მოვლენების, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მიმართ. ჩვენს სოფელში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და მწვავე პრობლემას მინის დეგრადაცია, გაუდაზნობა წარმოადგენს, რადგან დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს გვალვის პროცესი. საფრთხეს წარმოადგენს ასევე, ხშირი ნალექი. სეტყვა, წვიმა, ქარიშხალი, — ეს სტიქიური მოვლენები ინვეს მინის/ნიადგის დეგრადაციას, მისი ბიოლოგიური და ეკონომიკური პროდუქტიულობის შემცირებას. ეს კი ადამიანების ყოფაზე უარყოფითად აისახება“.

ილია მარტყოფლიშვილი

# დედოფლისწყაროს უზუსტეს გუნდის კიდევ ერთი წარმატება



11 თებერვალს დედაქალაქში დასრულდა თბილისის ლია პირველობა სადაც საქართველოს უამრავი გუნდი იღებდა მონაწილეობას. დედოფლისწყაროს უშუს გუნდიდან ამ ტურნირზე ჩემპიონები გახდნენ: სპაბ ბუ-თხეშუხი, ღამით ბუპაქი, ნუბ-ზარ ჭრქლაშვილი, ნიკოლოზ ხარაზიშვილი, მეორე ადგილი

დაიკავა დავით ქადაგიძემ, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა სპაბ ბოჭორიშვილმა. ამას გარდა, თვის დასაწყისში კიდევ ერთი წარმატება ჰქონდათ უშუს-სანდას ადგილობრივ გუნდში. როგორც გუნდიდან განუთ „შირაქს“ აცნობეს, უშუს გუნდის სპორტსმენი შაკო მოსაშვილი საქართველოს ჩემპიონია შერეულ ორთაბრძოლებში!!!! 84 კილოგრამში 4 თებერვალს მან MMA-ს საქართველოს ჩემპიონატზე პირველობა არავის დაუთმო და მსოფლიო რაიონი ასახელა..

გიორგი ცისპარაული (მწერთ-ლი): „ვაკო მოსაშვილი ჩვენი გუნდის სამაყო სპორტსმენია, ბოლო დროს სუნთქვასთან დაკავშირებით აქვს პრობლემები და მისი მზადების პროცესიც შესაბამისად სპეციფიკურია. თუმცა, ამის მიუხედავად ვაკო ამ შეჯიბრებისთვის კარგად მოვამზადეთ და შედეგიც სახეზეა, ის საქართველოში 18 წლამდელებში ყველაზე ძლიერი სპორტსმენია! დიდ იმედს ვამყარებთ მასზე.“

დათო ბუაძე: „ჩემს ნონაში 8 მებრძოლი იყო წარმოდგენილი. ამჯერად გამარჯვების მოსაპოვებლად მომინა სამი ბრძოლა ჩამეტარებინა. სამიდან ორი მეტოქე იყო ნალკის წარმომადგენელი და ერთიც დუშეთის. საკმაოდ ძლიერი მოტექები იყვნენ, მაგრამ

დათო ბუაძე: „ჩემს ნონაში 8 მებრძოლი იყო წარმოდგენილი. ამჯერად გამარჯვების მოსაპოვებლად მომინა სამი ბრძოლა ჩამეტარებინა. სამიდან ორი მეტოქე იყო ნალკის წარმომადგენელი და ერთიც დუშეთის. საკმაოდ ძლიერი მოტექები იყვნენ, მაგრამ



მინც შევძელი და მოვანერხე გამარჯვება არავისთვის დამეთმო. ჩემპიონატამდე სისტემატიურად ვვარჯიშობდი ჩემს გუნდთან ერთად, პირველ რიგში ჩემი მწვრთნელის, გიორგი ცისკარაულის დამსახურება ჩვენი გუნდის ამდენი წარმატება. ზოგადად, ჩემი მიზანია, რომ გავხდე ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი და ვასახელო საქართველო და ჩემი გუნდი“

და მიმობა, სიძე ზვიად, შვილიშვილები: ეთერი, ილია, ია ოჯახებით იუწყებიან და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თემურ და თამილა ნადირაშვილების დედის ლილი გომილაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ბიკოლა ლეილა სულაშვილი, მეგობარი, შალვა, თინიკო გორაშვილები, რძლები: ანა გურაშვილი და თეა ჯალაშვილი; სიძე ვლადიმერ ფოდიანი და თეა ჯალაშვილი; სიძე ვლადიმერ ფოდიანი და თეა ჯალაშვილი; სიძე ვლადიმერ ფოდიანი და თეა ჯალაშვილი

# გააცოცხლე ისტორია ექსკონატით

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილი არქეოლოგიური ნივთები ძირითადად შირაქის ექსპედიციის მიერაა მოძიებული და მეცნიერულად დამუშავებული. თუმცა, მუზეუმში ინახება შემთხვევით აღმოჩენილი ნივთებიც. ერთ-ერთი ასეთი არტეფაქტია ბრინჯაოს ცხენებზემული საბრძოლო ეტლის მოდელი. ის აღმოჩნდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მთა „გონების“ ტერიტორიაზე, კირქვის კარიერთან მისასვლელი გზის გაყვანის დროს (ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრები ოთარ ლაპიაშვილის მიერ) 1974 წელს. მიეკუთვნება 9-8 საუკუნეების გვიან ბრინჯაოს ხანას და ინახება ეროვნულ მუზეუმში. საბრძოლო ეტლი,

რომელიც „დიდნაურის“ ცოტა მოშორებით იქნა აღმოჩენილი, მეცნიერების ვარაუდით, ჩვეულებრივ გლეხ-მინათმორქმედს არ მოეპოვებოდა. ბრინჯაოს ეტლის მოდელი იმდროინდელი რეგულარული არმიის არსებობაზე მიუთითებდა. რაც თავის მხრივ იყო დასტური იმისა, რომ აღმოსავლური ქართული სახელმწიფოებრიობის ცენტრიც შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ საბრძოლო ეტლის მოდელის, როგორც ხელოვნების ნიმუშის არსებობა, მიუთითებდა ამ სახელმწიფოს როგორც მაღალ კულტურულ დონეზე, ასევე საკმაოდ კარგად განვითარებულ იმდროინდელ საბრძოლო აღჭურვი-



ლობაზე. აქედან დასტურდება ვარაუდი იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ძველ-აღმოსავლური უმაღლესი ცივილიზაციის სახელმწიფო.

## აქვს თუ არა კავშირი ელიას ბაქარს სპეფანე სირსელთან?

არქიტექტურული ძეგლები უსიტყვო მონუმენი არიან ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა. ნმ. ელიას მთაზე ცნობილ სამლოცველოს, რომელიც დედოფლისწყაროს

მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ძველთაგანვე დიდ პატივს სცემს მთელი ქიზიყის მოსახლეობა...

2004 წელს დეკანოზ ნიკოლოზის (ლომსაძის) და ბოდბელი ეპისკოპოსის მეუფე დავითის კურთხევით გადაწყდა ტაძრის აღდგენა (არქიტექტორი სერგო ქართველიშვილი). მშენებლობის დაწყებამდე არქეოლოგ (ისტ. მეც. დოქტორი), იულონ გაგომიძეს დაევადა არქეოლოგიური სამუშაოები დაეწყო ელიის ეხში. აქ მოპოვებული არქ. მასალა მრავალი თვალსაზრისით ახალი და მეცნიერებისათვის ნაკლებად ცნობილია... განსაკუ-

თრებული მნიშვნელობის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ბრტყელი კრამიტის ნატეხი, რომელზეც სამი რელიეფური ძველქართული მთავრული ასო ნიშანია აღბეჭდილი „ტ ფ ნ“ ... იგი შეიძლება იყოს ნაწილი საკუთარი სახელისა „სტეფანე“. ასეთი ნაკითხვა კითხვას ბადებს თუ რომელი დიდი მონასტრის მეტოქე შეიძლება ყოფილიყო ნმ. ელიის სკიტი? ხირსა ხომ არ იყო მისი ეს დედა მონასტერი, რომლის დაფუძნება ერთ-ერთი ასურელი მამის - სტეფანე ხირსელის სახელთან არის დაკავშირებული. ასევე საყურადღებოა ალიზისებური მასისგან გამომწვარი დიდი ზომის აგურის ფრაგ-

მენტები (ინახება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) ასეთი აგური „შავი მთის“ ნამონასტრალშიც ჩანს (მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის უკიდურეს აღმ. ნაწილში)... ნმ. ელიის ეხში არსებული თავდაპირველი ნაგებობაც „შავ მთის“ ნაგებობების მსგავსი უნდა ყოფილიყო და სავარაუდოა, რომ ადრეული შუა საუკუნეების (5-9 სს) ეს ნაგებობები ელიაზე მოქცეული უნდა ყოფილიყო მთლიანად ბუნებრივი მღვიმეში.

**ლალი გასილაშვილი**  
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი



## არხილოსკალოში ტურისტული კომპლექსი აშენდა

დედოფლისწყაროს კიდევ ერთი ტურისტული ობიექტი შეემატა. ქედების ზონაში ასეთი ლოკაციების დეფიციტი მწვავედ დგას, ამდენად, „არხილოს კომპლექსის“ გახსნა ამ სოფელში ცხოვრებას კიდევ უფრო გამოაცოცხლებს. გასულ წელს კურორტების განვითარების სააგენტომ, რომელიც ახალი საკურორტო ზონების შექმნაზე ზრუნავს, პირველად გააუღერა, რომ არხილოსკალოს სამკურნალო პოტენციალის შესწავლას იწყებს, რათა გაირკვეს, ღირს თუ არა ამ სოფელში ნეფროლოგიური სანატორიუმის აღდგენა. დადებითი შეფასების შემთხვევაში კი, სახელმწიფო სანატორიუმის აღდგენაზე იზრუნებს. ვიდრე ეს საშვილიშვილო საკითხი საბოლოოდ გაირკვევა, ტურისტების მასპინძლობაზე კერძო სექტორი იზრუნებს.

**ბელა ხუმარაშვილი** („არხილოს კომპლექსის“ მენეჯერი): „ქვემო ქედის სკოლაში დავდიოდი, მაგრამ მეზობელ სოფელ არხილოსკალოში ეს ტერიტორია პაპაჩემის ეზოა, სადაც ძველი სახლი იდგა. მთელი ჩემი ბავშვობა ამ ადგილს უკავშირდება და ამ მშვენიერი გადასახედიტ ყოველთვის მოხიბლული ვიყავი. რაც მეხსიერება მაქვს, ეს ადგილი და ულამაზესი ხედი იქიდან მომდევს. ყოველთვის მინდოდა ამ ადგილის განვითარება რადგან ტურისტულ სააგენტოში ვმუშაობდი და დიდი ხნის განმავლობაში ამ სფეროში ვიყავი. სოფელთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია, ძალიან ხშირად ჩამოვდიოდი, რადგან ტყბილი მოგონებები და განსაკუთრებული ემოციები მაკავშირებს ამ ადგილთან. შემდეგ სტუმრებზე ჩამომყავდა და მინდოდა შექმენა ღამის გასათევად ადგილი. ჯერ ფიქრობდი ძველი სახლისთვის ჭერი მომეხსენა და ტერასა გამეკეთებინა. შემდეგ ეს სახელმწიფო პროგრამა გამომჩნდა და კომპლექსის მშენებლობაზე შევაჩერე არჩევანი. „ანარმოე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში ჩვენი პროექტი 40 000 ლარით დაფინანსდა, ჩვენც დავამატეთ და დიდი ხნის ოცნებას ხორცი შევასხი. თუმცა, მშენებლობის პროცესში ეს თანხა საბოლოოდ საკმარისი არ აღმოჩნდა და კიდევ მომინია დამატება. მინდოდა ისეთი გამოსულიყო, როგორც ჩავიფიქრე. 15 წლის



ამით დასაქმებასაც შეუწყობთ ხელს. დიდ პოტენციალს ვხედავ ამ სოფელში და მინდა ჩემი წვლილი შევიტანო მის განვითარებაში. ვაშლოვანის ნაკრძალიც მიმეძინება და არხილოსკალოს მდებარეობაც ცნობილია, რომ არხილოსკალოში მზის სხივებს სხვა,

ასაკიდან მოგზაურობა დავიწყე და შემდეგ ტურიზმის სპეციალობაზე ჩავაბარე. მაშინ ამდენად პოპულარული არ იყო ეს პროფესია. ძალიან იშვიათი აბარებდნენ ამ ფაკულტეტზე. სოფელიც იცლებოდა, ადგილზე დარჩენა არავის უნდოდა. როცა ტურისტული კომპანია მქონდა, ძველ სახლშიც ჩამომყავდა სტუმრები, მაგრამ მინდოდა სათანადო პირობები შექმენა. არხილოსკალოს ისეთი მდებარეობა აქვს, იქ თუ სპეციალურად არავინ ჩავიდა, შემთხვევითი გამგლევი ვერ მოხვდება. არც რაიმე მინიშნებაა და ვაშლოვანის ნაკრძალშიც ისე მიდიან, ჩვენთან შეხება სტუმრებს არ აქვთ. არადა, არხილოსკალო წლების წინ საუკეთესო საკურორტო ზონა იყო, აქ მოქმედებდა ნეფროლოგიური სანატორიუმი და უამრავი სტუმარი ჰყავდა, ამით სოფელიც სარგებლობდა. მეც ეს ჩანაფიქრი მაქვს. გარდა იმისა, რომ კომპლექსი მოვანყვეთ, გინდა, მეზობლები და თანასოფლელებიც დაეინფორმონ მასპინძლობის საქმეში. ზოგი კერძების მომზადებაში დაგვეხმარება, ზოგიერთი ადგილობრივი სტუმრების მანქანით გასეირნებას უზრუნველყოფს და

ბელი ძალა აქვთ. მხოლოდ განთავსების უზრუნველყოფა არ მინდოდა, სტუმრებს უნდა შევთავაზოთ კულინარია, აგროტურიზმი, თერაპიული ტურიზმი. დაახლოებით ერთი თვეა, რაც მშენებლობა დავასრულეთ და კომპლექსი გავხსენით. ჯერ პრეზენტაცია არ გვექონია, მაგრამ სტუმრებს ვიღებთ. პრეზენტაციას გაზაფხულზე ვგეგმავთ. არც საერთაშორისო გვერდებზე დევს და არც რეკლამა გავაკეთებთ, რადგან ვაკვირდებით, საკუთარი ძალებით როგორი გამოხმარება ექნებოდა. მართლა დიდი ინტერესი და ბევრი გამოხმარება ნამოვიდა. უცხოელებსაც ველოდები, გერმანელებს აქვთ ჯავშანი. ალბათ, მარტის თვიდან აქტიურ რეკლამაზე გადავალთ, რათა ბევრმა გაგვიცნოს. ჯერ სეზონი არ არის, თოვლიც ხელს გვიშლდა. ჩვენთან ერთი ღამის გატარება 200 ლარი იქნება, საუზმით. მიზნად გვაქვს არა მარტო ჩვენი ობიექტის, არამედ სოფლის პოპულარიზაცია. იმედიანად ვარ განწყობილი და დარწმუნებული ვარ, განვითარებას შევძლებთ“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

**ულოცავენ!**  
**ნათია ბაბიაშვილს!**

ჩვენი დიდი ოჯახის დიასახლისო, სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს! შენ ხარ ღირსეული დედა, მეუღლე და ბებია. ოჯახური ცხოვრების არაერთ გამორეველს გმირულად გაუმკლავდი. დიდახს გვყავდე ჯანმრთელი და გახარებული. სიყვარულით, მეუღლე **სოსო ხაჩიაშვილი**, შვილები: **ბიორგი, იმედა, ნინოცხა ხაჩიაშვილები, სიძე ბიორგი კიკილაშვილი**, შვილიშვილები: **შოთიკო და იონა კიკილაშვილები, მძახლები ბელა ლაპიაშვილი და შოთა კიკილაშვილი**

ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 19.02 ღამი	სამშაბათი 20.02 ღამი	ოთხშაბათი 21.02 ღამი	ხუთშაბათი 22.02 ღამი
7°	-2°	8°	0°
საბატი 24.02 ღამი	კვირა 25.02 ღამი	პარასკევი 23.02 ღამი	საბატი 24.02 ღამი
8°	9°	0°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი, ილზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათია ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭაძე (საქმის მწარმოებელი).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.  
**გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი**